

სასამართლოს ხელმისაწვდომობა

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

2020



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



კავშირის
კვლევითი
რესურსების
ცენტრი

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სასამართლოს ხელმისაწვდომობა

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

2020

წინამდებარე ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „CRRC-საქართველო“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი.....	5
მეთოდოლოგია.....	6
კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება.....	7
კვლევის შედეგები.....	9
დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ.....	9
სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ვადების შეფასება.....	11
სასამართლოს ხელმისაწვდომობა.....	12
სასამართლოსთვის მიმართვის სურვილი და პრაქტიკა.....	19
დასკვნა.....	21
დანართი A - სიხშირის ცხრილები.....	23
დანართი B - ლოგისტიკური და მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის ცხრილები.....	77

შესავალი

„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა სასამართლოს ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც 2020 წლის 19 თებერვლიდან 8 მარტამდე პერიოდს მოიცავდა.

საკვლევ თემად სასამართლო ხელმისაწვდომობა რამდენიმე გარემოების გამო შეირჩა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სასამართლო სისტემაში რამდენიმე ეტაპად განხორციელებული რეფორმები მეტწილად ინსტიტუციურ პრობლემებზე იყო მიმართული, ხოლო მართლმსაჯულების შინაარსობრივ და ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ნაკლები აქცენტი ვეთდებოდა. ხელმისაწვდომობის პრობლემაც ერთ-ერთი ასეთი საკითხია, რომელსაც საკმარისი ყურადღება არ ეთმობა და რომელიც ქართულ კონტექსტში სიღრმისეულად დამუშავებული არ არის. რეალურად კი, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერების იდენტიფიცირების და მათი აღმოფხვრის გარეშე, მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით კი მონყვლადი ჯგუფების ინტერესების სათანადო სტანდარტებით დაცვას. სწორედ ამ ფონზე გადაწყდა კვლევის ჩატარება, რომელიც მიზნად სასამართლო სისტემის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობით გამოკითხვას, მათი ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების შესწავლას ისახავდა.

წინამდებარე ანგარიში საქართველოს ქართულენოვანი სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს აჯამებს. იგი მოკლედ მიმოიხილავს კვლევის მეთოდოლოგიასა და გამოკითხვის შედეგებს შემდეგი საკითხების შესახებ: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ, მოსახლეობის მიერ სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ვადების, ხარჯებისა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეფასება, მოსახლეობის ინფორმირებულობა დავის ალტერნატიული მექანიზმებისა და იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ და ასევე, მოსახლეობის სასამართლოსთვის მიმართვიანობის პრაქტიკა.

ანგარიშს დანართის სახით ერთვის გამოკითხვის შედეგების სიხშირის ცხრილები, მათ შორის, დემოგრაფიულ მონაცემთა ცხრილები და ანალიზისას გამოყენებული ლოგისტიკური და მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის შედეგების ცხრილები.

მეთოდოლოგია

საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა სასამართლო ხელმისაწვდომობის შესახებ 2020 წლის 19 თებერვლიდან 8 მარტამდე პერიოდში ჩატარდა. კვლევა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. პირველ რიგში, განისაზღვრა საკვლევო თემა და EMC-ისთან და IDFI-ისთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კითხვარი. შემდეგ გაკეთდა შერჩევა, ჩატარდა საპილოტე ინტერვიუები, რის მიხედვითაც გარკვეული ცვლილებები შევიდა კითხვარში, ამის შემდეგ კი დაიწყო სავსელე სამუშაოები. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა (მონაცემთა ბაზა გაიწმინდა და შეინონა შერჩევის ალბათობისა და დემოგრაფიულ ჯგუფებში რესპონდენტების განაწილების მიხედვით) და გაანალიზდა.

კვლევამ მოიცვა ქვეყნის სრულწლოვანი, ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის გარდა. მთლიანობაში გამოკითხა 2,290 ადამიანი პირისპირ ინტერვიუს (CAPI - Computer Assisted Personal Interviewing) მეთოდით. შერჩევა წარმომადგენლობითი იყო საქართველოს (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული პუნქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის დონეზე. შერჩევის დროს გამოყენებული იყო სტრატეგიული კლასტერული დიზაინი. კლასტერები შეირჩა ზომის პროპორციული ალბათობით. შერჩეულ კლასტერებში შინამეურნეობები ე.წ. შემთხვევითი ხეტიალის პრინციპით შეირჩა, შინამეურნეობაში კი თითო რესპონდენტი - კიშის ცხრილის მიხედვით. ცდომილების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე 1.2%-ს შეადგენს.

კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

„სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩაატარა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვა სასამართლოს ხელმისაწვდომობის შესახებ. გამოკითხვა 2020 წლის 19 თებერვლიდან 8 მარტამდე პერიოდში მიმდინარეობდა. ჩატარდა 2,290 დასრულებული ინტერვიუ. გამოკითხვა ეხებოდა სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს, უფრო კონკრეტულად კი: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას საქართველოს სასამართლოების მიმართ, სასამართლოში საქმისწარმოების ვადებისა და ხარჯების შეფასებას, სხვადასხვა დონეზე სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეფასებას, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებისა და იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას, მოსახლეობის სასამართლოსთვის მიმართვიანობის პრაქტიკას.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე სასამართლოს მიმართ ინტერესი შემცირებულია. ამჯერად საქართველოს მოსახლეობის მესამედი ამბობს, რომ დაინტერესებულია იმით, თუ რა ხდება საქართველოს სასამართლოებში, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი 2018 წელს¹ 13%-ით მეტი იყო. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი საშუალოდ აფასებს საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობას, თითქმის მესამედი კი ამბობს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა არ შეცვლილა. მოსახლეობის უმრავლესობა ნაწილობრივ ენდობა, ნაწილობრივ კი არ ენდობა სასამართლოს, ასევე ნახევარზე მეტი თვლის, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი არ არის.

სასამართლოს სისტემის მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების გამოვლენის გარდა, გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, თუ რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქმის განხილვის ვადების შესახებ. კითხვაზე, საშუალოდ რა საპროცესო ხარჯებთან არის დაკავშირებული სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება, მოსახლეობის ნახევარზე მეტმა პასუხი არ იცის, მაგრამ უმრავლესობა თვლის, რომ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება მათთვის ძვირი ჯდება. ამავდროულად, მოსახლეობის ნახევარი მაინც ფიქრობს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, სასამართლო სისტემა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება სამართლებრივი დავების განხილვის ვადებს, მოსახლეობის დაახლოებით მესამედმა არ იცის, საშუალოდ რამდენ ხანს გრძელდება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დავების განხილვა.

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები ხელს უშლის საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს. სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ საქმის განხილვის ხანგრძლივობა, სა-

1 „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში 2018 წელს ჩატარდა კვლევა - საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ.

სამართლოსადმი უნდობლობა, დამნაშავის მიერ მომავალში დაზარალებულზე შურისძიების საფრთხე და სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტების მომზადება ხელშემშლელი ფაქტორებია საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის, რომ სასამართლოს მიმართოს.

გარდა ზემოთ აღნიშნული საკითხებისა, კვლევისთვის საინტერესო იყო, მოსახლეობის აზრი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფისთვის. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომია ყველა ჩამოთვლილი ჯგუფისთვის: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, ეთნიკური ქართველი, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, ჰეტეროსექსუალი, არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ქალი, ვაჟი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და სოციალურად დაუცველი პირი.

ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს მიმართავდა. თუმცა, სასამართლოს გარდა, საინტერესო იყო საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობა დავის გადანაცვეტის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სმენია დავის გადანაცვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული მექანიზმის - მედიაციის, არბიტრაჟის ან განრიდების შესახებ მაინც.

მოსახლეობის ინფორმირებულობის შესასწავლად კითხვები არა მხოლოდ სასამართლოსა და დავის გადანაცვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შეეხებოდა, არამედ სასამართლოში საქმისწარმოებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს - სახელმწიფო და არასახელმწიფო იურიდიული დახმარების ცენტრებსაც. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სმენია სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, ხოლო ნახევარზე მცირედით მეტს არასახელმწიფო/არასამთავრობო იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ. რაც შეეხება ნდობის საკითხს სახელმწიფო და არასახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურების მიმართ, მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ ენდობა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს, თითქმის მეოთხედი კი - არასახელმწიფო იურიდიული დახმარების ცენტრებს.

გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს ჰქონია სურვილი მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა არ მიუმართავს, მიზეზად კი ყველაზე ხშირად საქმის განხილვის ხანგრძლივობასა და სასამართლოს ხარჯებს ასახელებენ. გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 6% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მიუმართავს სასამართლოსთვის. მათი ძირითადი ნაწილი თვლის, რომ საქმის განხილვის ვადები და სასამართლოს ხარჯები ხელს უშლის სასამართლოს ხელმისაწვდომობას. საბოლოო ჯამში კი მათი უმრავლესობა, ვისაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე მიუმართავს სასამართლოსთვის, სამართალწარმოების გამოცდილებას დადებითად აფასებს.


კვლევის შედეგები

დამოკიდებულება საქართველოს სასამართლოების მიმართ

საქართველოს ქართულენოვანი სრულწლოვანი მოსახლეობის დაახლოებით მესამედი (33%) აცხადებს, რომ აინტერესებს ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება. საინტერესოა, რომ ეს მაჩვენებელი შემცირებულია² ბოლო 2 წლის მანძილზე, 2018 წლის მონაცემებთან შედარებით, როცა მოსახლეობის 46%-მა აღნიშნა, რომ დაინტერესებული იყო იმით, თუ რა ხდებოდა საქართველოს სასამართლოებში. (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 10-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 3-ქულიან სკალაზე.

რაც შეეხება სასამართლო სისტემის მდგომარეობის შეფასებას, საქართველოს მოსახლეობის მესამედზე მცირედით მეტი (36%) ფიქრობს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სასამართლო სისტემა არ შეცვლილა. 28% მიიჩნევს, რომ იგი გაუმჯობესდა, ხოლო 27%-ის აზრით, სასამართლო სისტემა გაუარესდა, 9%-მა კი არ იცის, თუ როგორ შეიცვალა სასამართლო სისტემა ბოლო ექვსი წლის მანძილზე (იხ. დანართი A, ცხრილი 3).


ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (51%) საშუალოდ აფასებს საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობას. შედეგები თითქმის არ გა-

² ანალიზი ეყრდნობა ცვლადების ნდობის ინტერვალთა შედარებას.

ნსხვავდება 2018 წლის მონაცემისგან, როცა მოსახლეობის 56% საშუალოდ აფასებდა სასამართლო სისტემის მუშაობას (იხ. დანართი A, ცხრილი 2). მოსახლეობის უმრავლესობა (66%) ამბობს, რომ ნაწილობრივ ენდობა, ნაწილობრივ კი არ ენდობა სასამართლოებს საქართველოში. მოსახლეობის მეხუთედი (20%) აცხადებს, რომ საერთოდ არ ენდობა, ხოლო დაახლოებით მეათედი (11%) ამბობს, რომ სრულიად ენდობა საქართველოს სასამართლოებს (იხ. დანართი A, ცხრილი 4). ამავდროულად, მოსახლეობის ნახევარზე მეტი თვლის, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი არ არის (32% - უფრო არ არის თავისუფალი, ვიდრე - კი, 25% - საერთოდ არ არის თავისუფალი) (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

რამდენად თავისუფალია ან არ არის თავისუფალი სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან? (%)



ანალიზის³ შედეგებმა აჩვენა, რომ მეტი შანსია, დედაქალაქში მაცხოვრებლებმა მიიჩნიონ, რომ სასამართლო არაა თავისუფალი პოლიტიკური გავლენისგან, ვიდრე დედაქალაქს გარეთ (სხვა ქალაქებსა და სოფლებში) მაცხოვრებლებმა (იხ. დანართი B, ცხრილი 1). გარდა ამისა, ანალიზის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დასაქმების სტატუსს, განათლების დონესა და დასახლების ტიპს სასამართლოს ბოლო ექვსწლიანი მუშაობის შეფასებაზე გავლენა აქვს. მათ, ვინც საჯარო სამსახურში არიან დასაქმებული, უფრო მოსალოდნელია, იშვიათად თქვან, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოს მუშაობა გაუარესდა, ვიდრე მათ, ვინც არასაჯარო სამსახურში მუშაობენ. ასევე, უფრო მოსალოდნელია, რომ უმაღლესი განათლების არ მქონე პირებმა მიიჩნიონ, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოს მუშაობა გაუარესდა, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირებმა. გარდა ამისა, მეტია შანსი, რომ სოფლად მაცხოვრებლებმა, დედაქალაქში მაცხოვრებლებთან შედარებით, იშვიათად თქვან, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოს მუშაობა გაუარესდა (იხ. დანართი B, ცხრილი 2).

³ ანალიზისთვის გამოყენებულია ლოგისტიკური და მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია.

სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ვადების შეფასება

სასამართლოს სისტემის მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების გამოვლენის გარდა, გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს, ვნახოთ, თუ რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯებისა და საქმის განხილვის ვადების შესახებ.

კითხვაზე, საშუალოდ რამდენ ხანს გრძელდება სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა⁴, მოსახლეობის მესამედზე მეტს (37%⁵) ამაზე პასუხი არცერთ შემთხვევაში არ აქვს. მოსახლეობის 45% ამბობს, რომ არ იცის სამოქალაქო დავების განხილვის საშუალო ხანგრძლივობა, 14% კი ფიქრობს, რომ ამ ტიპის დავების განხილვა საშუალოდ ექვს თვემდე გრძელდება, იგივე რაოდენობა მიიჩნევს, რომ დავის განხილვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თავად კონკრეტულ შემთხვევაზე. მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49%) ვერ ასახელებს ადმინისტრაციული დავის განხილვის საშუალო ხანგრძლივობას, თითქმის მეოთხედი (19%) კი ამბობს, რომ მსგავსი ტიპის დავები საშუალოდ ექვს თვემდე ვადაში განიხილება, შედარებით ნაკლებს (13%) კი მიაჩნია, რომ საქმის განხილვის ხანგრძლივობა კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის განხილვის საშუალო ხანგრძლივობას, მოსახლეობის 45% ვერ ასახელებს მას, 18% კი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტულ საქმეზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება საქმის განხილვა. მოსახლეობის დაახლოებით მეათედი (12%) კი სისხლის სამართლის საქმის განხილვის საშუალო ხანგრძლივობად 1-დან 3 წლამდე ვადას ასახელებს. სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის სხვა ვადები კი უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი A, ცხრილი 7_1 - ცხრილი 7_3).

რაც შეეხება სამართალწარმოების სავარაუდო ხარჯებს⁶ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმისწარმოების შემთხვევაში, მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ასახელებს მას. მოსახლეობის 57%-მა არ იცის, საშუალოდ რამდენს შეადგენს სამოქალაქო დავის წარმოების ხარჯები, დაახლოებით მეათედის (12%) აზრით, ხარჯი დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, 8% კი ფიქრობს, რომ სამოქალაქო დავის წარმოების ხარჯი 1000-დან 3000 ლარამდე მერყეობს. ადმინისტრაციული საქმის წარმოების სავარაუდო ხარჯს ვერ ასახელებს ასევე მოსახლეობის უმრავლესობა (61%), მოსახლეობის 13% ფიქრობს, რომ ხარჯი დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე, 8% კი ფიქრობს, რომ ადმინისტრაციული დავის წარმოების ხარჯი 500-დან 1000 ლარამდეა. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმისწარმოების სავარაუდო ხარჯს, მოსახლეობის უმრავლესობა (60%) ვერ ასახელებს მას. მოსახლეობის მეექვსედზე მეტი (15%) მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმო-

4 რესპონდენტებს განემარტებოდათ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების მნიშვნელობა. საქმის განხილვის ხანგრძლივობაში კი იგულისხმება დრო სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებიდან გადანაცვებების გამოტანამდე.

5 პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს ერთდროულად სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ვადების დასახელებისას „არ ვიცი“ პასუხების პროცენტულ ჯამს - როცა რესპონდენტმა სამივე შემთხვევაში თქვა „არ ვიცი“.


6 პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენს ერთდროულად სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ვადების დასახელებისას „არ ვიცი“ პასუხების პროცენტულ ჯამს - როცა რესპონდენტმა სამივე შემთხვევაში თქვა „არ ვიცი“.

ების ხარჯი შესაძლოა აღემატებოდეს 3000 ლარს, ხოლო 14% ფიქრობს, რომ ხარჯი დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე. სხვა პასუხები კი ვიდრე უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დანართი A, ცხრილი 9_1 - ცხრილი 9_3).

კითხვაზე, თქვენნაირი ადამიანისთვის, რამდენად ძვირი ან იაფი ჯდება სასამართლო-სთვის მიმართვა/სასამართლო პროცესში მონაწილეობა, მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, მათთვის ძვირი ჯდება სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება (35% - უფრო ძვირი, ვიდრე იაფი, 35% - ძალიან ძვირი) (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

თქვენი აზრით, თქვენნაირი ადამიანისთვის, რამდენად ძვირი ან იაფი ჯდება სასამართლოსთვის მიმართვა/სასამართლო პროცესში მონაწილეობა? (%)




სასამართლოს ხელმისაწვდომობა

ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (51%) ამბობს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, სასამართლო სისტემა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია. 41%-ის აზრით, არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო მოსახლეობის მეთედზე ნაკლები (8%) აცხადებს, რომ არ იცის, საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის სასამართლოს სისტემა ხელმისაწვდომია თუ არა (იხ. დანართი A, ცხრილი 6). ამის შემდეგ რესპონდენტებს ეკითხებოდნენ სხვადასხვა ფაქტორის შესახებ, თუ რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები ხელს უშლის საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს (40% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 41% - ძალიან უშლის ხელს). გარდა ამისა, მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ საქმის განხილვის ხანგრძლივობა (48% - ნაწილობრივ

უშლის ხელს, 23% - ძალიან უშლის ხელს), სასამართლოსადმი უნდობლობა (45% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 22% - ძალიან უშლის ხელს), დამნაშავეს მიერ მომავალში დაზარალებულზე შურისძიების საფრთხე (45% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 16% - ძალიან უშლის ხელს) და სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტების მომზადება (47% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 11% - ძალიან უშლის ხელს) ხელის შემშლელი ფაქტორებია, როცა საქმე სასამართლოსთვის მიმართვას ეხება. მოსახლეობის თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ სასამართლოსთვის მიმართვიანობაში ხელის შემშლელი ფაქტორი მოსალოდნელი მძიმე სასჯელის გამო დაზარალებულის მიერ დამნაშავეს შეცოდება (40% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 7% - ძალიან უშლის ხელს) და ისეთი კულტურული ფაქტორია, როცა ზოგიერთი ჯგუფისთვის მიუღებელია დავის მოსაგვარებლად სასამართლოს ჩარევა (35% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 11% - ძალიან უშლის ხელს). მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ასახელებს ქართული ენის საკმარისად ვარგად არ ცოდნას (25% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 8% - ძალიან უშლის ხელს), სასამართლოს ადგილმდებარეობას/ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას (26% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 7% - ძალიან უშლის ხელს), სოციალურად დაუცველის სტატუსსა (21% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 7% - ძალიან უშლის ხელს) და სქესს (8% - ნაწილობრივ უშლის ხელს, 2% - ძალიან უშლის ხელს) ადამიანებისთვის ხელშემშლელ ფაქტორად რომ სასამართლოს მიმართონ (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4


რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? (%)



საინტერესოა, რომ სასამართლოს ტერიტორიული ხელმისაწვდომობის, როგორც ხელშემშლელი ფაქტორის დასახელებებზე გავლენას რესპონდენტთა შემდეგი მახასიათებლები ახდენს: პირადი შემოსავალი, ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოსთვის მიმართვიანობის გამოცდილება და დასახლების ტიპი⁷. მათ, ვისაც საშუალო⁸ პირადი შემოსავალი აქვთ, უფრო მოსალოდნელია, რომ სასამართლოს ადგილმდებარეობა ხელშემშლელ ფაქტორად დაასახელონ, ვიდრე მათ, ვისაც პირადი შემოსავალი მაღალი აქვთ. ასევე, მათ, ვისაც მიუმართავთ სასამართლოსთვის ბოლო ექვსი წლის მანძილზე, მეტია შანსი, რომ სასამართლოს ადგილმდებარეობა ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნიონ, ვიდრე მათ, ვისაც არ მიუმართავთ სასამართლოსთვის. ასევე, დედაქალაქისა და სოფლების მაცხოვრებლებმა, უფრო მოსალოდნელია, სასამართლოს ადგილმდებარეობა ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნიონ, ვიდრე სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებმა (იხ. დიაგრამა 5, დანართი B, ცხრილი 3).

დიაგრამა 5

რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? (%)



შენიშვნა: პასუხის ვარიანტები 4-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 2-ქულიან სკალაზე.

გარდა ამისა, მეტია შანსი, შემოსავლების არმქონე პირებმა, მაღალშემოსავლიან პირებთან შედარებით თქვან, რომ სქესი სასამართლოს მიმართვიანობაში ხელშემშლელი ფაქტორია. ასევე, უფრო მოსალოდნელია, დედაქალაქის მაცხოვრებლებმა სქესი ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნიონ, ვიდრე სხვა ქალაქების მაცხოვრებლებმა (იხ. დანართი B, ცხრილი 4). რაც შეეხება ფაქტორს - დაზარალებულის მიერ დამნაშავის შეცოდებას, მოსალოდნელი სასჯელის გამო, მეტია შანსი, რომ მათ, ვინც სახელმწიფოსგან რაიმე ტიპის ფულად დახმარებას იღებენ, მათთან შედარებით, ვინც

7 ანალიზისთვის გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესია.


8 პირადი შემოსავალი გულისხმობს გასულ თვეში მიღებულ და დაქვითვის შემდეგ დარჩენილ პირად თანხას. ანალიზისთვის პირადი შემოსავალი დაიყო შემდეგ კატეგორიებად: 0 – „შემოსავლის გარეშე“, 600 ლარამდე - „დაბალი“, 600-1000 ლარი - „საშუალო“, 1000 ლარზე მეტი - „მაღალი“. დეტალური განაწილება იხილეთ დანართში A, ცხრილი 48.

არ იღებს ამ ტიპის დახმარებას, თქვან, რომ აღნიშნული ფაქტორი ხელს უშლის ადამიანს, მიმართოს სასამართლოს. ასევე, უფრო მოსალოდნელია, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლებმა, სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებთან შედარებით, დამარალებულის მიერ დამნაშავის შეცოდება ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნიონ (იხ. დანართი B, ცხრილი 5).

გარდა სასამართლოსთვის მიმართვაში შესაძლო შემაფერხებელი ფაქტორებისა, რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფისთვის. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომია ყველა ჩამოთვლილი ჯგუფისთვის: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 35%, სრულიად ხელმისაწვდომია - 50%), ეთნიკური ქართველი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 32%, სრულიად ხელმისაწვდომია - 57%), სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 27%, სრულიად ხელმისაწვდომია - 48%), ჰეტეროსექსუალი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 29%, სრულიად ხელმისაწვდომია - 50%), არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 32%, სრულიად ხელმისაწვდომია - 53%), მართლმადიდებელი ქრისტიანი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 31%, სრულიად ხელმისაწვდომია - 60%), ქალი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 32%, სრულიად ხელმისაწვდომია - 58%), კაცი (ძირითადად ხელმისაწვდომია - 30%, სრულიად ხელმისაწვდომია - 61%), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის (ძირითადად ხელმისაწვდომია - 35%, სრულიად ხელმისაწვდომია - 50%) და სოციალურად დაუცველი პირისთვის (ძირითადად ხელმისაწვდომია - 31%, სრულიად ხელმისაწვდომია - 46%) (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? (%)



კითხვაზე, თუკი საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ ენდობა სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში მაინც მიმართავდა თუ არა მას, მოსახლეობის უმრავლესობა (80%) ამბობს, რომ მიმართავდა, დაახლოებით მეექვსედი (14%) ამბობს, რომ არ მიმართავდა და ყველაზე ხშირად ამის მიზეზად სასამართლოსადმი უნდობლობა და სასამართლოსთან დაკავშირებულ ხარჯები დასახელდა. 7%-მა კი არ იცის, საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა თუ არა საქართველოში მცხოვრები ადამიანი სასამართლოს, თუკი მის მიმართ ნდობა არ ექნებოდა (იხ. დანართი A, ცხრილი 12, ცხრილი 13_1 - ცხრილი 13_12). ზოგადად კითხვაზე, მომავალში რომ დაგჭირდეთ, მიმართავდით თუ არა სასამართლოს, დადებითად მოსახლეობის უმრავლესობა (73%) პასუხობს (იხ. დანართი A, ცხრილი 26).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობა დავის გადანაცვების ალტერნატიული მექანიზმების შესახებ. მოსახლეობის ნახევარზე მეტს (54%⁹) სმენია დავის გადანაცვების ერთ-ერთი ისეთი ალტერნატიული მექანიზმის შესახებ მაინც, როგორც არის: მედიაცია, არბიტრაჟი და განრიდება. უფრო კონკრეტულად კი, მედიაციის შესახებ მოსახლეობის თითქმის მეოთხედს (24%) სმენია, არბიტრაჟისა და განრიდების შესახებ - დაახლოებით მოსახლეობის მესამედს (35%-35%) (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7

მსმენიათ თუ არა მორიგების/დავის გადანაცვების შემდეგ ალტერნატიულ მექანიზმებზე? (%)



შენიშვნა: რესპონდენტებს ეკითხებოდნენ გრაფიკზე მოცემული თითოეული დავის გადანაცვების ალტერნატიული მექანიზმის შესახებ, შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება.

⁹ მაჩვენებელი წარმოადგენს ერთდროულად მედიაციის, არბიტრაჟისა და განრიდების შესახებ „მსმენია“ პასუხების პროცენტულ ჯამს - როცა რესპონდენტმა სამივე შემთხვევაში თქვა, რომ სმენია აღნიშნული დავის მექანიზმების შესახებ.

საინტერესოა, რომ დავის ალტერნატიული მექანიზმის შესახებ ინფორმაციის ქონაზე გავლენას რესპონდენტთა განათლების დონე, დასაქმების სექტორი, პირადი შემოსავალი და ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოსთვის მიმართვიანობის გამოცდილება ახდენს¹⁰. მათ, ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვთ, უფრო მოსალოდნელია, ნაკლებად თქვან, რომ გაუგიათ დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე - უმაღლესი განათლების მქონე პირებმა. ასევე, მათ, ვინც დასაქმებულია საჯარო სექტორში მეტია შანსი, სმენოდეთ დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე მათ, ვინც კერძო სექტორშია დასაქმებული. გარდა ამისა, ვისაც დაბალი პირადი შემოსავალი აქვთ, უფრო მოსალოდნელია, ნაკლებად ჰქონდეთ ინფორმაცია დავის გადანყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსებობის შესახებ, ვიდრე მაღალი პირადი შემოსავლის მქონე პირებს. ასევე, იმ პირებს, ვისაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოსთვის მიმართვის გამოცდილება აქვთ, მოსალოდნელია, რომ მეტად სმენოდეთ დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე მათ, ვისაც მსგავსი გამოცდილება არ აქვთ (იხ. დანართი B, ცხრილი 6).

ინფორმირებულობა იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ


მოსახლეობის ინფორმირებულობის შესასწავლად კითხვები არა მხოლოდ ზოგადად სასამართლოსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა, არამედ სასამართლოში საქმისწარმოებისთვის ერთ-ერთ საჭირო რგოლს - სახელმწიფო და არასახელმწიფო იურიდიული დახმარების ცენტრებსაც. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას (67%) სმენია სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ (იხ. დიაგრამა 8). მათგან, ვისაც სმენია სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, ნახევარზე მეტი (53%) ამბობს, რომ იცის, თუ რა ტიპის დავებზე შეიძლება აღნიშნული სამსახურის დახმარების გამოყენება. მეათედზე ნაკლები (7%) კი ამბობს, რომ თავად მიუმართავს სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურისთვის. ყველაზე ხშირად მიმართვის მიზეზად ადვოკატის კონსულტაცია დასახელდა (იხ. დანართი A, ცხრილი 16 - ცხრილი 18_4).

რაც შეეხება არასახელმწიფო/არასამთავრობო იურიდიული დახმარების ცენტრებს, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს (54%) სმენია მათ შესახებ (იხ. დიაგრამა 8). ზოგადად, მათ, ვისაც სმენია არასახელმწიფო/არასამთავრობო იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ, ყველაზე ხშირად ასეთ ცენტრად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) დაასახელეს (66%). ასევე დასახელდა: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (20%), ადამიანის უფლებათა ცენტრი (7%), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (5%), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (3%) და სხვა ცენტრები (1%) (იხ. დანართი A, ცხრილი 20_1 - ცხრილი 20_6). მათგან, ვისაც სმენია არასახელმწიფო/არასამთავრობო იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ, 6%-ს მიუმართავს მსგავსი ტიპის ცენტრებისთვის. ყველაზე ხშირად მიმართვის მიზეზად კი, ამ შემთხვევაშიც, ადვოკატის კონსულტაცია დასახელდა (იხ. დანართი A, ცხრილი 21 და ცხრილი 22).

10 ანალიზისთვის გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესია.

დიაგრამა 8


გსმენიათ თუ არა ? (%)



რაც შეეხება მოსახლეობის ნდობას სახელმწიფო და არასახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურების მიმართ, მოსახლეობის თითქმის მესამედი (31%) ამბობს, რომ ვნდობა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს, თითქმის მეოთხედი (23%) კი არასახელმწიფო იურიდიული დახმარების ცენტრებს, 16% ორივეს თანაბრად ვნდობა, 13% კი - არცერთს (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

ზოგადად, სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს უფრო ვნდობით თუ სხვა, არასახელმწიფო/ არასამთავრობო, იურიდიული დახმარების ცენტრებს? (%)



სასამართლოსთვის მიმართვის სურვილი და პრაქტიკა

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, კვლევისთვის საინტერესო იყო მოსახლეობის იმ ნაწილის გამოვლენა, რომელსაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე მიუმართავს სასამართლოსთვის და ასევე იმ ნაწილის გამოვლენა, რომელსაც ჰქონდა სურვილი მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა არ მიუმართავს.

გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს ჰქონია სურვილი მიემართა სასამართლოსთვის, მაგრამ არ მიმართეს. მიზეზად კი ყველაზე ხშირად საქმის განხილვის ხანგრძლივობასა და სასამართლოს ხარჯებს ასახელებენ (იხ. დანართი A, ცხრილი 25 და ცხრილი 39).

რაც შეეხება სასამართლოსთვის მიმართვიანობას, გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 6% აცხადებს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მიუმართავს სასამართლოსთვის. მათგან უმრავლესობას სასამართლოში სამოქალაქო სამართლებრივი დავა ჰქონდა და ძირითადად, მათი სტატუსი მოსარჩელე ან დაზარალებული იყო (იხ. დანართი A, ცხრილი 24, ცხრილი 27 და ცხრილი 28). მესამედზე მეტი (40%), აცხადებს, რომ სასამართლოში სამართალწარმოებისას კერძო ადვოკატის მომსახურებით სარგებლობდა, მეოთხედი (21%) ამბობს, რომ სახელმწიფო ადვოკატის მომსახურებით სარგებლობდა, ხოლო დაახლოებით მესამედის (30%) განცხადებით, ადვოკატის მომსახურებით საერთოდ არ უსარგებლია და ამის მიზეზად საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად დაცვის შესაძლებლობა და/ან ადვოკატის მომსახურებისთვის თანხის არ ქონა დაასახელეს (იხ. დანართი A, ცხრილი 29 და ცხრილი 30).

ვინც ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოს მიმართა, მათგან მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ მათი საქმე სასამართლოში ჯერ არ დასრულებულა, ხოლო ნახევარზე მეტი (55%) ამბობს, რომ საქმის დასრულებას 6 თვემდე პერიოდი დასჭირდა, მეათედზე ნაკლები (9%) აცხადებს, რომ საქმის დასრულებას 1 წელზე მეტი დრო დასჭირდა, ასევე მეათედზე ნაკლები (7%) პასუხობს, რომ მათი საქმე 7-დან 12 თვემდე პერიოდში დასრულდა. იმ ადამიანების უმრავლესობა, რომელთა საქმეც სასამართლოში უკვე დასრულდა, აცხადებს, რომ საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყდა და რომ მათი საქმე სამართლიანად განიხილეს (იხ. დანართი A, ცხრილი 33, ცხრილი 35 და ცხრილი 36).


ინტერვიუს დროს, რესპონდენტებს, რომლებსაც მიუმართავთ სასამართლოსთვის, სთხოვეს შეეფასებინათ სასამართლოსთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: დოკუმენტების წარდგენა, სასამართლო ხარჯები და სასამართლოს ტერიტორიული ხელმისაწვდომობა. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტების მომზადება მარტივია. მათ მიერ დასახელებულმა სასამართლო ხარჯმა საშუალოდ 876 ლარი შეადგინა, ყველაზე ხშირად კი 100 ლარიდან 500 ლარამდე ინტერვალის ხარჯი დასახელდა. რაც შეეხება ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, რესპონდენტთა უმრავლესობა, ვისაც სასამართლოსთვის ბოლო ექვსი წლის მანძილზე მიუმართავს, აცხადებს, რომ სასამართლო ტერიტორიულად მარტივად ხელმისაწვდომი იყო (იხ. დანართი A, ცხრილი 31, ცხრილი 32, ცხრილი 34).

ვისაც სასამართლოსთვის მიუმართავს (6%), მათი უმრავლესობა თვლის, რომ საქმის განხილვის ვადები და სასამართლოს ხარჯები სასამართლოს ხელმისაწვდომობას ხელს უშლის. თითქმის ნახევარი კი ასეთ ფაქტორად სასამართლოსადმი უნდობლო-

ბას მიიჩნევს (იხ. დიაგრამა 10). საბოლოო ჯამში კი მათგან, ვისაც მიუმართავს სასამართლოსთვის ბოლო ექვსი წლის მანძილზე, უმრავლესობა (74%) სამართალწარმოებაში მათ გამოცდილებას დადებითად აფასებს (იხ. დანართი A, ცხრილი 37).

დიაგრამა 10

ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, თქვენი გამოცდილების გათვალისწინებით, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები სასამართლოს ხელმისაწვდომობას? (%)



შენიშვნა: პროცენტები დათვლილია მათგან, ვინც ამბობს, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოსთვის მიუმართავს (6%).

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მესამედი დაინტერესებულია იმით, თუ რა ხდება საქართველოს სასამართლოებში, თუმცა სასამართლოებისადმი ინტერესი ბოლო ორი წლის მანძილზე შემცირებულია.

მოსახლეობის უმრავლესობა ნაწილობრივ ენდობა, ნაწილობრივ კი არ ენდობა სასამართლოებს საქართველოში. ამავდროულად, ნახევარზე მეტი თვლის, რომ სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი არ არის, ხოლო დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ სასამართლო სისტემა ბოლო ექვსი წლის მანძილზე არ შეცვლილა. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა დასაქმების სტატუსს, განათლების დონესა და დასახლების ტიპს გავლენა აქვს ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლო სისტემის მუშაობის შეფასებაზე. მეტია შანსი, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულებმა უფრო იშვიათად თქვან, რომ სასამართლო სისტემის მუშაობა გაუარესდა ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ვიდრე მათ, ვინც არასაჯარო სექტორში არიან დასაქმებული. ასევე, უფრო მოსალოდნელია, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით, მათ ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვთ, მიიჩნიონ, რომ სასამართლო სისტემის მუშაობა გაუარესდა ბოლო ექვსი წლის მანძილზე. გარდა ამისა, მეტია შანსი, რომ სოფლად მაცხოვრებლებმა, იშვიათად თქვან, რომ სასამართლოს მუშაობა გაუარესდა ბოლო ექვსი წლის მანძილზე, ვიდრე დედაქალაქში მაცხოვრებლებმა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ იცის პასუხი კითხვაზე, თუ საშუალოდ რა საპროცესო ხარჯებთან და ვადებთან არის დაკავშირებული სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება მათთვის ძვირი ჯდება. თუმცა, ნახევარი მაინც ფიქრობს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, სასამართლო სისტემა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია.

ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები, საქმის განხილვის ხანგრძლივობა, სასამართლოსადმი უნდობლობა, დამნაშავეს მიერ მომავალში დაზარალებულზე შურისძიების საფრთხე და სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტების მომზადება ხელშემშლელი ფაქტორებია საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის, რომ სასამართლოს მიმართოს. მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომია საქართველოში მცხოვრები ისეთი ჯგუფებისთვის, როგორებიცაა: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, ეთნიკური ქართველი, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი, ჰეტეროსექსუალი, არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, ქალი, კაცი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და სოციალურად დაუცველი პირი.

რაც შეეხება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, მოსახლეობის ნახევარზე მეტს სმენია ერთ-ერთი მექანიზმის - მედიაციის, არბიტრაჟის ან განრიდების შესახებ მაინც. მოსახლეობის თითქმის მეოთხედს სმენია მედიაციის შესახებ, ხოლო როგორც არბიტრაჟის, ასევე განრიდების შესახებ დაახლოებით - მოსახლეობის მესამედს. საინტერესოა, რომ დავის ალტერნატიული მექანიზმის შესახებ ინფორმაციის ქონაზე გავლენას რესპონდენტთა განათლების დონე, დასაქმების სექტორი, პირადი შემოსავალი და ბოლო ექვსი წლის მანძილზე სასამართლოსთვის მიმართვიანობის

გამოცდილება ახდენს. მეტია შანსი, რომ მათ, ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვთ ნაკლებად თქვან, რომ გაუგიათ დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე მათ, ვისაც უმაღლესი განათლება აქვთ. ასევე, მეტია შანსი, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულებს სმენოდეთ დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ, ვიდრე - კერძო სექტორში დასაქმებულებს. გარდა ამისა, ვისაც დაბალი პირადი შემოსავალი აქვთ, მოსალოდნელია, უფრო ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსებობის შესახებ, ვიდრე მაღალი პირადი შემოსავლის მქონე პირები. ასევე, იმ პირებს, ვისაც სასამართლოსთვის მიუმართავს ბოლო ექვსი წლის მანძილზე, მოსალოდნელია, რომ მეტად იყვნენ ინფორმირებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსებობის შესახებ, ვიდრე ისინი, ვისაც არ მიუმართავთ სასამართლოსთვის.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ სმენია სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ, ხოლო ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სმენია არასახელმწიფო/არასამთავრობო იურიდიული დახმარების ცენტრების შესახებ. მოსახლეობის დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ ენდობა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სამსახურს, თითქმის მეოთხედი კი - არასახელმწიფო იურიდიული დახმარების ცენტრებს.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 6% ამბობს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სასამართლოსთვის მიუმართავს, ხოლო 3%-ს ჰქონია სურვილი რომ მიემართა სასამართლოსთვის, მაგრამ არ მიუმართავს. ამის მიზეზად კი ძირითადად, საქმის განხილვის ხანგრძლივობასა და სასამართლოსთან დაკავშირებულ ხარჯებს ასახელებენ. ასევე, მათი ძირითადი ნაწილი, ვისაც მიუმართავს სასამართლოსთვის ბოლო ექვსი წლის მანძილზე, მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ვადები და ხარჯები ხელს უშლის სასამართლოს ხელმისაწვდომობას. თუმცა, მათი უმრავლესობა სამართალწარმოების გამოცდილებას დადებითად აფასებს.

აღნიშნულ საკითხებზე უფრო მეტი მონაცემების ნახვა შესაძლებელია მონაცემთა ონლაინ ანალიზის გვერდზე.

დანართი A - სიხშირის ცხრილები

ცხრილი 1

1. ზოგადად, რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება?	(%)
საერთოდ არ მაინტერესებს	19
2	3
3	6
4	5
5	27
6	7
7	7
8	7
9	3
ძალიან მაინტერესებს	16
(არ ვიცი)	0
სულ:	100

ცხრილი 1_1

1. ზოგადად, რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? <i>(პასუხების ვარიანტი დაჯგუფებულია 10 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე. ვარიანტები: „1“, „2“, „3“ და „4“ დაჯგუფდა როგორც „არ მაინტერესებს“; „5“ და „6“ - როგორც „[ნეიტრალური]“; ხოლო პასუხის ვარიანტები: „7“, „8“, „9“ და „10“ დაჯგუფდა, როგორც „მაინტერესებს“)</i>	(%)	(%)
	2020 წელი	2018 წელი
არ მაინტერესებს	33	27
[ნეიტრალური]	34	27
მაინტერესებს	33	46
(არ ვიცი)	0	0
სულ:	100	100

ცხრილი 2

2. გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, როგორ მუშაობს ამჟამად საქართველოს სასამართლო სისტემა?	(%)	(%)
	2020 წელი	2018 წელი
ძალიან ცუდად	9	1
ცუდად	19	8
საშუალოდ	51	56
კარგად	13	22
ძალიან კარგად	1	7
(არ ვიცი)	7	6
(უარი პასუხზე)		0
სულ:	100	100

ცხრილი 3

3. თქვენი აზრით, ბოლო 6 წლის განმავლობაში, სასამართლო სისტემა საქართველოში გაუმჯობესდა, იგივე დარჩა თუ გაუარესდა?	(%)
გაუმჯობესდა	28
იგივე დარჩა	36
გაუარესდა	27
(არ ვიცი)	9
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 4

4. ზოგადად, რამდენად ენდობით ან არ ენდობით სასამართლოებს საქართველოში?	(%)
საერთოდ არ ვენდობი	20
ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ - არა	66
სრულიად ვენდობი	10
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 5

5. თქვენი აზრით, რამდენად თავისუფალია ან არ არის თავისუფალი სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენებისგან? (%)	
საერთოდ არ არის თავისუფალი	25
უფრო არ არის თავისუფალი, ვიდრე - კი	32
უფრო თავისუფალია, ვიდრე - არა	27
სრულიად თავისუფალია	6
(არ ვიცი)	11
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 6

6. თქვენი აზრით, ზოგადად, ყველაფრის გათვალისწინებით რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო სისტემა საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის? (%)	
[იგულისხმება: ფინანსური, ტერიტორიული, ნდობის, დოკუმენტების შედგენის სირთულის და სხვა ნებისმიერი ბარიერის შემთხვევაში წარმოქმნილი ხელმისაწვდომობის პრობლემა]	
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	11
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	29
ძირითადად ხელმისაწვდომია	38
სრულიად ხელმისაწვდომია	12
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 7_1

7_1. თქვენი აზრით, საშუალოდ რამდენ ხანს გრძელდება სასამართლოში შემდეგი ტიპის საქმეების განხილვა? - სამოქალაქო დავების განხილვა - ნებისმიერი დავა კერძო პირებს შორის (მათ შორის როცა ერთი ან ორივე მხარე კომპანიაა), მაგალითად: საოჯახო და სამემკვიდრეო დავები (განქორწინება, შვილად აყვანა, მემკვიდრეობის მიღება), სახელშეკრულებო დავები (სესხები, ლიზინგი, განვადება და ა.შ) და სხვა.)	(%)
0 თვიდან - 6 თვემდე	14
6 თვიდან -9 თვემდე	5
9 თვიდან - 12 თვემდე	10
1 წლიდან - 3 წლამდე	7
3 წელი და მეტი	5
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	14
(არ ვიცი)	45
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 7_2

7_2. თქვენი აზრით, საშუალოდ რამდენ ხანს გრძელდება სასამართლოში შემდეგი ტიპის საქმეების განხილვა? - ადმინისტრაციული დავების განხილვა - ყველა ის დავა, სადაც მეორე მხარე არის სახელმწიფო ორგანო (გარდა სისხლისა), მაგალითად: საპატრულო ჯარიმები, საგადასახადო დავები, მერიის მიერ გაცემული ნებართვები და ა.შ	(%)
0 თვიდან - 6 თვემდე	19
6 თვიდან -9 თვემდე	5
9 თვიდან - 12 თვემდე	7
1 წლიდან - 3 წლამდე	5
3 წელი და მეტი	3
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	13
(არ ვიცი)	49
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 7_3

7_3. თქვენი აზრით, საშუალოდ რამდენ ხანს გრძელდება სასამართლოში შემდეგი ტიპის საქმეების განხილვა? - სისხლის სამართლის საქმეების განხილვა - ნებისმიერი რამ რაც დანაშაულს შეეხება, მაგალითად: მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ნარკოტიკული დანაშაულები, ქრთამის აღება და ა.შ.	(%)
0 თვიდან - 6 თვემდე	5
6 თვიდან -9 თვემდე	4
9 თვიდან - 12 თვემდე	8
1 წლიდან - 3 წლამდე	12
3 წელი და მეტი	8
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	18
(არ ვიცი)	45
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 8

8. თქვენი აზრით, თქვენნაირი ადამიანისთვის, რამდენად ძვირი ან იაფი ჯდება სასამართლოსთვის მიმართვა/სასამართლო პროცესში მონაწილეობა? (იგულისხმება: ადვოკატის მომსახურების ხარჯები; საპროცესო დოკუმენტების მომზადების ხარჯები; ექსპერტიზის ხარჯი; ბაჟი; მგზავრობის ხარჯი და ა.შ.)	(%)
ძალიან იაფი	1
უფრო იაფი, ვიდრე ძვირი	6
უფრო ძვირი, ვიდრე იაფი	35
ძალიან ძვირი	35
(არ ვიცი)	22
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 9_1

9_1. თქვენი აზრით, რა სავარაუდო ხარჯებთან არის დაკავშირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობა სამოქალაქო დავებზე?	(%)
0 - 99 ლარი	1
100 - 499 ლარი	7
500 - 999 ლარი	9
1000 - 2999 ლარი	8
3000 + ლარი	5
სხვა (მიუთითეთ)	0
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	12
(არანაირ ხარჯთან არ არის დაკავშირებული)	0
(არ ვიცი)	57
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 9_2

9_2. თქვენი აზრით, რა სავარაუდო ხარჯებთან არის დაკავშირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობა ადმინისტრაციულ დავებზე?	(%)
0 - 99 ლარი	1
100 - 499 ლარი	6
500 - 999 ლარი	8
1000 - 2999 ლარი	7
3000 + ლარი	4
სხვა (მიუთითეთ)	0
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	13
(არანაირ ხარჯთან არ არის დაკავშირებული)	1
(არ ვიცი)	61
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 9_3

9_3. თქვენი აზრით, რა სავარაუდო ხარჯებთან არის დაკავშირებული სასამართლო პროცესში მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეებზე?	(%)
0 - 99 ლარი	0
100 - 499 ლარი	1
500 - 999 ლარი	2
1000 - 2999 ლარი	7
3000 + ლარი	15
სხვა (მიუთითეთ)	0
(გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას)	14
(არანაირ ხარჯთან არ არის დაკავშირებული)	1
(არ ვიცი)	60
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_1

10_1. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სასამართლო ხარჯები (ბაჟი, ადვოკატის ხარჯი, საპროცესო დოკუმენტები შედგენის ხარჯი, ექსპერტის ხარჯი და ა.შ.)	(%)
ძალიან უშლის ხელს	41
ნაწილობრივ უშლის ხელს	40
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	6
საერთოდ არ უშლის ხელს	4
(არ ვიცი)	9
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_2

10_2. ახლა ჩამოგივლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - საქმის განხილვის ვადები/ხანგრძლივობა	(%)
ძალიან უშლის ხელს	23
ნაწილობრივ უშლის ხელს	48
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	9
საერთოდ არ უშლის ხელს	6
(არ ვიცი)	14
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_3

10_3. ახლა ჩამოგივლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სასამართლოს ადგილმდებარეობა/ტერიტორიული ხელმისაწვდომობა	(%)
ძალიან უშლის ხელს	7
ნაწილობრივ უშლის ხელს	26
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	17
საერთოდ არ უშლის ხელს	42
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_4

10_4. ახლა ჩამოგივლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სასამართლოსთვის წარსადგენი დოკუმენტების მომზადება	(%)
ძალიან უშლის ხელს	11
ნაწილობრივ უშლის ხელს	47
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	13
საერთოდ არ უშლის ხელს	15
(არ ვიცი)	13
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_5

10_5. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სასამართლოსადმი უნდობლობა	(%)
ძალიან უშლის ხელს	22
ნაწილობრივ უშლის ხელს	45
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	13
საერთოდ არ უშლის ხელს	10
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_6

10_6. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - ქართული ენის საკმარისად კარგად არ ცოდნა	(%)
ძალიან უშლის ხელს	8
ნაწილობრივ უშლის ხელს	25
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	15
საერთოდ არ უშლის ხელს	42
(არ ვიცი)	9
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_7

10_7. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სქესი	(%)
ძალიან უშლის ხელს	2
ნაწილობრივ უშლის ხელს	8
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	9
საერთოდ არ უშლის ხელს	75
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_8

10_8. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - სოციალურად დაუცველის სტატუსი	(%)
ძალიან უშლის ხელს	7
ნაწილობრივ უშლის ხელს	21
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	11
საერთოდ არ უშლის ხელს	49
(არ ვიცი)	12
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_9

10_9. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - ის რომ ზოგიერთი ჯგუფისთვის მიუღებელია დავის მოსაგვარებლად სასამართლოს ჩარევა (კულტურული ფაქტორი)	(%)
ძალიან უშლის ხელს	11
ნაწილობრივ უშლის ხელს	35
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	12
საერთოდ არ უშლის ხელს	23
(არ ვიცი)	19
სულ:	100

ცხრილი 10_10

10_10. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - შურისძიების საფრთხე (იგულისხმება: დამნაშავის მიერ მომავალში დაზარალებულზე შურისძიება)	(%)
ძალიან უშლის ხელს	16
ნაწილობრივ უშლის ხელს	45
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	11
საერთოდ არ უშლის ხელს	15
(არ ვიცი)	14
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 10_11

10_11. ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე ფაქტორს და გთხოვთ მითხრათ, რამდენად უშლის ან არ უშლის ხელს ეს ფაქტორები საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მიმართონ სასამართლოს? - დაზარალებულის მიერ დამნაშავის შეცოდება, მოსალოდნელი მძიმე სასჯელის გამო	(%)
ძალიან უშლის ხელს	7
ნაწილობრივ უშლის ხელს	40
ნაწილობრივ არ უშლის ხელს	15
საერთოდ არ უშლის ხელს	21
(არ ვიცი)	17
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_1

11_1. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	2
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	6
ძირითადად ხელმისაწვდომია	35
სრულიად ხელმისაწვდომია	50
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_2

11_2. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - ეთნიკური ქართველი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	1
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	5
ძირითადად ხელმისაწვდომია	32
სრულიად ხელმისაწვდომია	57
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_3

11_3. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი)	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	3
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	7
ძირითადად ხელმისაწვდომია	27
სრულიად ხელმისაწვდომია	48
(არ ვიცი)	14
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 11_4

11_4. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელი - ჰეტეროსექსუალი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	2
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	6
ძირითადად ხელმისაწვდომია	29
სრულიად ხელმისაწვდომია	50
(არ ვიცი)	13
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 11_5

11_5. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - არამართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიმე სხვა რელიგიის წარმომადგენელი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	2
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	5
ძირითადად ხელმისაწვდომია	32
სრულიად ხელმისაწვდომია	53
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_6

11_6. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - მართლმადიდებელი ქრისტიანი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	1
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	4
ძირითადად ხელმისაწვდომია	31
სრულიად ხელმისაწვდომია	60
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_7

11_7. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	4
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	11
ძირითადად ხელმისაწვდომია	32
სრულიად ხელმისაწვდომია	45
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_8

11_8. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - სოციალურად დაუცველი პირი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	5
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	12
ძირითადად ხელმისაწვდომია	31
სრულიად ხელმისაწვდომია	46
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_9

11_9. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - ქალი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	2
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	5
ძირითადად ხელმისაწვდომია	32
სრულიად ხელმისაწვდომია	58
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 11_10

11_10. თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ან არ არის ხელმისაწვდომი სასამართლო საქართველოში მცხოვრები შემდეგი ჯგუფებისთვის? - კაცი	(%)
საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი	2
ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი	4
ძირითადად ხელმისაწვდომია	30
სრულიად ხელმისაწვდომია	61
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 12

12. თქვენი აზრით, თუკი საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ ენდობა სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში მაინც მიმართავს თუ არა მას?	(%)
დიახ	80
არა	14
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 13_1

13_1. თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ მიმართავდა სასამართლოს? - სასამართლოს მომსახურება ძვირი ჯდება <i>(პასუხები დათვლილია მათგან, ვინც კითხვაზე - საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ ენდობა სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში მაინც მიმართავს თუ არა მას? - უპასუხა „არა“ - 14%)</i>	(%)
დასახელდა	42
არ დასახელდა	54
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 13_2

13_2. თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ მიმართავდა სასამართლოს? - სასამართლოს დიდი ხანი სჭირდება საქმის განსახილველად <i>(პასუხები დათვლილია მათგან, ვინც კითხვაზე - საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ ენდობა სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში მაინც მიმართავს თუ არა მას? - უპასუხა „არა“ - 14%)</i>	(%)
დასახელდა	13
არ დასახელდა	83
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 13_3

13_3. თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ მიმართავდა სასამართლოს? - არ ვენდობი სასამართლოს <i>(პასუხები დათვლილია მათგან, ვინც კითხვაზე - საქართველოში მცხოვრები ადამიანი არ ენდობა სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში მაინც მიმართავს თუ არა მას? - უპასუხა „არა“ - 14%)</i>	(%)
დასახელდა	63
არ დასახელდა	32
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	1
